



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 8 (4518)

1972 წ. 12 იანვარი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## დინამოელები ემზადებიან

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები შეუდგნენ წინასასეზონო მზადებას. ჩვენს სურათებზე, რომლებიც „ლელოს" კორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, ასახულია მეცადინეობის მომენტები. მარცხნივ — დინამოელები მოთელვით რბენისას; მარჯვნივ — ორმხრივი თამაში თოვლზე. ბურთისთვის იბრძვიან მ. მაჩაიძე და კ. ასათიანი.

გუშინ თბილისელები საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრნენ ბაკურიანში.

## ფავორიტები ფავორიტებად რჩებიან

ბაკურიანი. 11 იანვარი. კვირაზე მეტს გასტანა ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა საკონტროლო შეჯიბრებამ, რომელიც საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას უსწრებდა წინ. სარბიელზე ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა გამოსვლამ უთუოდ ინტერესი შემატა შეჯიბრებას. გათამაშდა „დინამოს", საბჭოთა არმიის, „ბურევესტნიკის" თასები და ა. შ. დასასრულ, გასულ კვირას, მოთხილამურეებმა „ბაკურიანის თასის" გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა.

ეს შეჯიბრება ერთი რამით განსხვავდებოდა აღრინდელებისგან: თუ აქამდე სტარტზე უძლიერესები ერთდროულად არ გამოდიოდნენ, ახლა ბრძოლაში ყველა ჩაება. მათ შორის იყო მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ვედენინი, რომელიც ბაკურიანში სწორედ შეჯიბრების წინ ჩამოვიდა. ასპარეზობაში ვედენინის მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ ცოტა ხნის წინ იგი სკანდინავიაში გამართულ შეჯიბრებაში იბრძოდა შვეციის, ფინეთის, ნორვეგიის უძლიერეს მოთხილამურეებთან ერთად. ამიტომ ერთგვარი შედარების მოხდენა შეიძლებოდა. ვედენინს „ბაკურიანის თასის" გათამაშებაში მხოლოდ V ადგილი ხვდა. მან წინ გაუშვა მხოლოდ ისინი, ვინც წარმატებით იასპარეზა ბაკურიანში გამართულ ყველა წინა შეჯიბრებაში.

12 კმ-ზე ცაქთა რბოლაში 68 მოთხილამურე ჩაება. შესანიშნავი მზიანი დღე იყო, თხილამურები კარგად სრიალებდა და ბევრი რამ სპორტსმენის ფიზიკურ მომზადებას, ტექნიკას უნდა გადაეწყვიტა. დისტანცია ყველაზე უკეთ გაიარა მოსკოვის დინამოელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ფ. სიმაშოვმა. მისი შედეგია 39.13,0. მეორე შედეგი — 39.24,0 — აჩვენა კიროვის სპარტაკელმა ი. სკობოვმა, III — არმიელმა ვ. დოლგანოვმა, რომელმაც სკობოვთან 2 წამი წააგო. ყველა მათგანი საპოროში გამგზავრების კანდიდატია. მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ სამართლიანად აცხადებენ პრეტენზიას ოლიმპიურ გუნდში მოხვედრაზე. შემდეგი სამი ადგილი დაიკავეს ი. პრონინმა („ტრუდი", უხტა), ვ. ვედენინმა („დინამო", მოსკოვი) და ა. აკენტიევმა (შეიარაღებული ძალები).

ქალთა შეჯიბრებაში სურათი ნათელი იყო. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. კულაკოვამ („ტრუდი", იჟევსკი) უკვე აქ, ბაკურიანში მოასწრო დაემტკიცებინა, რომ ბადალი არ ჰყავს ქალთა შორის. მან ამჯერადაც საგრძნობლად ჩამოიტოვა თავისი 48 მეტოქე. 4-კილომეტრიან დისტანციაზე კულაკოვამ 17 წუთი და 37 წამი აჩვენა. მასთან მხოლოდ სამი წამი წააგო მოსკოველმა გ. პილიუშენკომ (შეიარაღებული ძალები) და ორი — ლ. მუხაჩოვამ („ტრუდი", აპატიტი). უძლიერესთა ექვსეულში აღმოჩნდნენ აგრეთვე, დ. გრიგორიევა („ლოკომოტივი", კაზანი), ა. ოლიუნინა („ტრუდი", გორკი) და ნ. შებალინა („სპარტაკი", ლენინგრადი).

ახლა საბჭოთა მოთხილამურეებს ჩასატარებელი დარჩათ ერთი ოლიმპიადისწინა რეპეტიცია: 15 იანვარს ბაკურიანში იწყება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება.

გ. ართმელაძე.
(ჩვენი კორ.).

• • •

სურათზე: ფ. სიმაშოვი დისტანციაზე.



## კობა წაქაძე საპოროში წავა




სსრ კავშირის „მფრინავ მოთხილამურეთა" ვეტერანმა, ბაკურიანელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კობა წაქაძემ შესაშური სპორტული დღეგრძელობა გამოიჩინა. იგი 37 წლისაა, მაგრამ დღესაც ასპარეზობს ტრამპლინიდან ხტომაში, თუმცა ეს სახეობა ჭაბუკურ შემართებას, გაბედულებას, რისკის გაწევის უნარს მოითხოვს. კობა წაქაძეს არც ერთი ეს თვისება არ დაუკარგავს თავდაჯერებულობის, სპორტისადმი დიდი სიყვარულის, რეჟიმის დაცვისა და სისტემატური წვრთნის წყალობით.

ამ რამდენიმე წლის წინ ერთგვარი წარუმატებლობის შემდეგ წაქაძემ ხელი კი არ ჩაიქნია, საკუთარ ძალაში დარწმუნებულმა ნებისყოფის სიმტკიცე გამოიჩინა, საწვრთნელი დატვირთვა გაზარდა და ბოლო ორ სეზონში გულშემატკივრები მრავალი წარმატებით გაახარა.

კობამ ოლიმპიური სეზონიც შესანიშნავად დაიწყო: საკავშირო ტურნირებში ბევრად ახალგაზრდებს ტოლს არ უდებდა, კიროვსკის ტრამპლინზე გამარჯვებაც მოიპოვა, სსრ კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა და, როგორც ამ შეჯიბრების ერთ-ერთი ვეტერანი 4 ტრამპლინის საახალწლო ტრადიციულ ტურნირში სასპარეზოდ მიიწვიეს.

წაქაძემ თავდაპირველად თავი სწორედ საახალწლო ტურნირებში გამოიჩინა, მსოფლიოს გააცნო ტრამპლინიდან ფრენის თავისებური სტილი. „მფრინავი ტორპედოც" სწორედ მაშინ შეარქვეს. და აი, ახალ სეზონში კობა კვლავ ეწვია მისთვის ცნობილ ინსბრუკის, ობერსდორფის, გარმიშ-პარტენკირხენის, ბიშოფსჰოფენის ტრამპლინებს, რომლებზეც ბევრი ჯილდო მოუპოვებია.

კობამ ყველა ტრამპლინზე კარგად დაიჭირა გამოცდა, არსად შეუფასებელი არ დარჩენილა, საბოლოოდ ავსტრიაში, ბიშოფსჰოფენის ტრამპლინზე საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა და VII ადგილი დაისაკუთრა. კობა აქ ჯერ 99,5, შემდეგ 101,5 მეტრზე გადახტა და 225,7 ქულა მიიღო.

როგორც ცნობილია, იაპონელი ი. კასაია, რომელმაც წინა სამივე ტრამპლინზე ხტომა მოიგო და ერთპიროვნული ლიდერი იყო, მეოთხე ტრამპლინზე შეჯიბრებას გამოეთიშა. სწორედ იმ დღეს საპოროში ოლიმპიადისთვის ამ ქვეყნის „მფრინავ მოთხილამურეთა" შესარჩევი ტურნირი ტარდებოდა და იაპონელები შინისაკენ გაეშურნენ.

ბიშოფსჰოფენში ყველასთვის მოულოდნელად ნორვეგიელმა ბ. ვირკოლამ გაიმარჯვა — 233,6 ქულა (101,5 და 103 მ) II და III ადგილებზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიელები ი. რაშკა — 233 (101 და 102 მ) და ზ. ხუბაჩი — 229,4 (101 და 102 მ).

ნორვეგიელმა ი. მორკმა, რომელიც კასაიას წასვლის შემდეგ 4 ტრამპლინის ტურნირის ლიდერი გახდა, ამჯერად IV ადგილი დაიკავა (229 ქულა, 102 და 98,5 მ), რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მორკს საახალწლო ტურნირში გამარჯვებულის სახელი მოეპოვებინა.

4 ეტაპის ჯამში საერთო II ადგილი წილად ხვდა ჰ. გლასს (გდრ), III — ფინელ ტ. კიაიუჰკოვს. სსრ კავშირის სპორტსმენებიდან ჩათვლა მიიღეს ი. კალინინმა (V ადგილი), რომელიც ბიშოფსჰოფენში ყველაზე შორს — 106,5 მეტრზე გადახტა (ეს ტრამპლინის რეკორდს 2 მეტრით სჯობია), მაგრამ დაეცა, კ. წაქაძემ (VII ადგილი) და მსოფლიო ჩემპიონმა გ. ნაპალკოვმა (IX).

წაქაძე საპოროში წავა, სწორედ იქ, სადაც 70-მეტრიან ტრამპლინზე იაპონელთა შესარჩევი ასპარეზობა გაიმართა. მორკთან კასაიას დაუსწრებელი დუელი იაპონელის მარცხით დამთავრდა — საპოროში კასაია პირველივე ცდაზე დაეცა, მაგრამ იოლად გადარჩა და კვლავ ოლიმპიადის მთავარ ფავორიტად რჩება.

საპოროში I ადგილი მოიგო მ. ასარიმ — 223,8 ქულა (82,5 და 74 მ). II ადგილზე გავიდა მ. მაშიკო — 221,7 (82 და 76 მ).



## საბჭოთა იუნიორების წარმატება

ამას წინათ ტალინში დამთავრდა იუნიორ კალათბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა სსრ კავშირის ნაკრებმა. ტურნირის ბოლო დღეს ჩვენმა კალათბურთელებმა დაამარცხეს პოლონეთის გუნდი — 92:65. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მეორე მატჩიც ესტონეთისა და ბულგარეთის კოლექტივებს შორის. გაიმარჯვეს ესტონელებმა — 77:71.

ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: 1. სსრ კავშირი, 2. ესტონეთი, 3. პოლონეთი, 4. ბულგარეთი, 5. გდრ.

• • •

სურათზე: სსრ კავშირისა და პოლონეთის იუნიორ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ა. კუზნეცოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსმენები წესრიგის სადარაჯოზე

# მუდამ პრინციპული და სამართლიანი



კაბინეტში ტელეფონის ზარმა გაიწკრიალა.

— ალო, დიახ, სიღნაღის რაიონის პროკურორი გისმენთ. მკვლელობა წნორის გარეუბანში? კარგი, ახლავე მოვდივარ.

ორ წუთსაც არ გაევლო, რომ პროკურორი გივი ჟორჟოლაძე მანქანაში იჯდა და გამომძიებელთან ერთად შემთხვევის ადგილისკენ მიქროდა.

პროკურორი ერთ წერტილს მიშტერებოდა. უნებლიედ მოგონებებმა გაიტაცა.

... ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლაში, სადაც იგი სწავლობდა ოთარ ქორქიას, ალეკო და შოთა მესხების გავლენით მოსწავლე ახალგაზრდობა გატაცებით თამაშობდა კალათბურთს. გივიმაც ჩამოაყალიბა გუნდი, რომელმაც მალე წარმატებას მიაღწია ქუთაისის სკოლების პირველობაში. მერე გივი ჟორჟოლაძე თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და სწავლას 24-ე საშუალო სკოლაში განაგრძობს. აქაც, რა თქმა უნდა, გატაცებით თამაშობს კალათბურთს.

სკოლის სპორტულმა მოედანმა ჭაბუკი კალათბურთელი „პიშჩევიკის" გუნდში მიიყვანა. გივიმ ჩვეული ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი საქმეს და სულ მალე კოლექტივის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი გახდა. იმ პერიოდში „პიშჩევიკი" ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო თბილისში.

კალათბურთი მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დროსაც. ერთხელ ისტორიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდების შეხვედრაზე მსაჯი არ გამოცხადდა. ვინაიდან გამოსავალი არ ჩანდა, გივიმ იკისრა მსაჯობა და ადვილადაც გაართვა თავი საქმეს. ამ დღიდან მოყოლებული იგი სისტემატურად მსაჯობს უნივერსიტეტის საფაკულტეტო გუნდების კალათბურთელთა შეხვედრებს, შემდეგ კი ქალაქის პირველობაზე გამართულ მატჩებს. მან მალე დაიმკვიდრა პირუთვნელი არბიტრის სახელი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიიღო.

1951 წელს გივი ჟორჟოლაძე, როგორც საუკეთესო მსაჯი, რიგის საკავშირო ჩემპიონატზე მიიწვიეს. 1954 წელს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა კალათბურთში ჩინეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. მსაჯობა დაევალა გივი ჟორჟოლაძეს, რომელმაც ბრწყინვალედ წარმართა მატჩი და როგორც კალათბურთელების, ისე მაყურებლების მადლობა დაიმსახურა. ეს უკვე დიდ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას ნიშნავდა. 1957 წელს გ. ჟორჟოლაძემ მოსკოვში გამართულ სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში ობიექტური მსაჯობისთვის ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის საპატიო დიპლომი მიიღო.

1959 წელს უკვე ცნობილი მსაჯი რუმინეთში მიემგზავრება, როგორც საქართველოს კალათბურთელ ქალთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი და მსაჯი. 1961 წელს ქართველ კალათბურთელთა ნაკრები გუნდი საფრანგეთში საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს ატარებს. დელეგაციაში გივი ჟორჟოლაძეცაა შეყვანილი.

პარიზი, ლიონი, ტულუზა და სხვა ქალაქები მოხიბლა ქართველ კალათბურთელთა მაღალტექნიკურმა თამაშმა. აღტაცებას გამოთქვამდნენ რა სტუმრების ოსტატობით, ფრანგული გაზეთები არც ჟორჟოლაძის კვალიფიციურ და ობიექტურ მსაჯობას ივიწყებდნენ. საფრანგეთის ტურნეს დამთავრების შემდეგ, ჟორჟოლაძეს ღირსეული მსაჯობისთვის მასპინძლებმა სპეციალური მედალიც კი გადასცეს. მას ბევრი მადლობა და სხვა ოფიციალური სიგელიცა აქვს მიღებული.

მაგრამ არ გეგონოთ თითქოს გ. ჟორჟოლაძე ამ ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო ძირითად საქმიანობას. პირიქით, 1952 წლიდან იგი მუშაობს რესპუბლიკის პროკურატურაში განყოფილების პროკურორად. 14 წელიწადს იმუშავა სისხლის სამართლის საქმეთა, მილიციის ორგანოებზე საზედამხედველო, საკონტროლო, საინსპექტორო და საგამომძიებლო განყოფილებების პროკურორად. ამ ხნის მანძილზე მას მიღებული აქვს სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის პროკურორის მადლობები, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ პროკურატურის საპატიო სიგელები.

1966 წლის დასაწყისში გივი ჟორჟოლაძე სიღნაღის რაიონის პროკურორად ინიშნება. აქ ახალგაზრდა პროკურორის წინაშე დამოუკიდებელი მუშაობის დიდი პერსპექტივა გადაიშალა. და აი, პირველი ღონისძიებაც: ჩატარდა რაიონული აქტივის თათბირი თემაზე „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ". თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელი მუშაკები. თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რაიონის ყველა მშრომელისადმი, რომ სიღნაღის რაიონი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის მქონე რაიონად გადაექციათ.

რაიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასთან დაკავშირებით წამოჭრილ წინადადებებს მუდამ მხარს უჭერს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. გელაშვილი. იგი ხშირად უშუალოდაც მონაწილეობს დანაშაულთა მიზეზების გარკვევაში და მოქალაქეთა საჩივრების განხილვაში.

— რა დაგამახსოვრდათ თქვენი სპორტული ცხოვრებიდან ყველაზე მეტად? ვკითხე ერთხელ გივი ჟორჟოლაძეს. მან თითქმის დაუფიქრებლად მიპასუხა:

— თბილისში ტარდებოდა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ რიგის არმიელთა გუნდი და თბილისის „დინამო". მოგების შემთხვევაში ჩვენები პირველ ადგილსაც იღებდნენ და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებასაც მოიპოვებდნენ.

— ამ მატჩის მსაჯობა დავალებული ჰქონდა ნეიტრალური ქალაქის მსაჯს, მაგრამ მოხდა ისე, რომ თამაშის დღეს მხოლოდ ერთი არბიტრი ჩამოვიდა. თამაშის გადადება შეუძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში დებულებით ადგილობრივი მსაჯის დანიშვნა დასაშვებია. არჩევანი ჩემზე შეჩერდა. მე, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე. რიგის არმიელთა გუნდის ხელმძღვანელობაც წინააღმდეგი იყო, რომ მატჩში ადგილობრივ არბიტრს ემსაჯა, მაგრამ უარი არც მე გამივიდა და არც რიგელებს.

— ვიმსაჯე და თამაშიც თბილისის დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა. შეხვედრის შემდეგ ორივე გუნდის ხელმძღვანელებმა მადლობა გადამიხადეს კარგი მსაჯობისთვის.

დიდი დატვირთვის მიუხედავად, პროკურორი გ. ჟორჟოლაძე თავს არ ანებებს საყვარელ საქმიანობას — სპორტს. იგი ხშირად ესაუბრება სიღნაღელ კალათბურთელებს, რაიონის სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, აძლევს მათ საქმიან რჩევა-დარიგებებს...

**ზ. მესხიშვილი,**
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

სურათზე: მართლმსაჯულება სპორტულ სარბიელზეც აუცილებელია. მატჩის მსაჯი გ. ჟორჟოლაძე განაჩენის აღსრულებისას.



ახლახან თბილისში დამთავრდა საქართველოს მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური პირველობა. ამ შეჯიბრებაში ოსტატობის პროგრამით ვარჯიშში I ადგილი დაისაკუთრა ვ. ვასილიევამ („განთიადი").
სურათზე: ვ. ვასილიევა თავისუფალი ვარჯიშის დროს.
ი. იუნაევის ფოტო.

(შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# სკოლამ უკეთ უნდა იმუშაოს

საქართველოს პროფსაბჭომ 1966 წელს თბილისში მძლეოსნობის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლა გახსნა და მას შესანიშნავი ფინანსური ბაზა შეუქმნა. ქალაქის სკოლებში ათასზე მეტი ბავშვი შეარჩიეს სამეცადინოდ. მათი წრთობის საქმეს 31 მწვრთნელი-მასწავლებელი და 19 ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკი ემსახურება.

სკოლა საზაფხულო პერიოდში ყოველწლიურად აწყობს სპორტულ ბანაკებს 500 ბავშვისთვის, რაც მომავალ სპორტსმენებს სრულწლიური ვარჯიშის საშუალებას აძლევს. სასწავლო-სპორტული მუშაობის სათანადოდ წარმართვისთვის, საწვრთნელი შეკრებებისთვის, სამატჩო შეხვედრების გამართვისთვის, ხარისხიანი ინვენტარისა და ფორმის შეძენისთვის ყველა პირობა აქვთ. სკოლის განკარგულებაშია თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ბაზის — „ლოკომოტივის" სტადიონის სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები. მათთვის სხვა ბაზების კარიც ღიაა. განვლილ პერიოდში სკოლამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია, მაგრამ ეს კიდევ არ შეესაბამება მის შესაძლებლობებს.

ამას წინათ სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა სკოლის საქმიანობა და მის მუშაობაში მრავალი ხარვეზი აღმოაჩინა. სკოლის სასწავლო სტრუქტურა დებულების მოთხოვნებს არ შეესაბამება — 1123 მოსწავლისთვის 7 სასწავლო ნაკადის 98 ჯგუფი უნდა მუშაობდეს, სინამდვილეში კი აქ 74 ჯგუფია შექმნილი. ეს იწვევს ჯგუფების გადატვირთვას და სასწავლო-სპორტულ პროცესს აფერხებს. დებულების მოთხოვნებს ვერც მომეცადინეთა ასაკობრივი კონტინგენტი აკმაყოფილებს. წესით, 13 წლამდე ბავშვებისთვის 35 ჯგუფი უნდა მუშაობდეს, სინამდვილეში კი 31 ჯგუფია შექმნილი. 14-15 წლის მოზარდებისთვის 28 ჯგუფი უნდა იყოს, სკოლაში კი ასეთი 22 მუშაობს, 15-16 წლის მოსწავლეებისთვის 14-ის ნაცვლად მხოლოდ 7 ჯგუფია შექმნილი და სხვ.

სკოლის დაკომპლექტებაში დაშვებულია შეცდომები. მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლების წესებით, იგი არანაკლებ 12 წლის ბავშვებით უნდა კომპლექტდებოდეს, აქ კი მწვრთნელებს უფლება მისცეს სასწავლო ჯგუფებში 9-10 წლის ბავშვები ჩაერიცხათ.

კომისიამ სასწავლო პროცესიც შეამოწმა და დაასკვნა, რომ ბევრი ჯგუფი ასაკისა და სპორტული მომზადების დონის გაუთვალისწინებლადაა დაკომპლექტებული. მაგალითად ნ. თვაურის ერთსა და იმავე ჯგუფში პირველთანრიგოსნები და ახალბედები ერთად ვარჯიშობენ. მწვრთნელ გ. ზრაჟევსკაიასთან უმცროსი ასაკის ჯგუფში 11 ბავშვი მეცადინეობს, უფროსი ასაკის ჯგუფში — 15. მწვრთნელი ვ. კოლესოვა მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების კანდიდატებს საშუალო სკოლის სპორტულ მოედანზე ავარჯიშებს.

სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მეცადინეობის ორგანიზაციაში არსებულმა ხარვეზებმა. ბოლო 4 წლის მანძილზე სპორტსკოლამ მხოლოდ 1 სპორტის ოსტატი, 2 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 22 პირველთანრიგოსანი მოამზადა, თუმცა, ყოველწლიურად 35-ზე მეტ პირველთანრიგოსანს, ოსტატობის კანდიდატსა და სპორტის ოსტატს უნდა ზრდიდეს.

სკოლის მუშაობის დაბალ დონეს ისიც ადასტურებს, რომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პროგრამით მოზარდ მძლეოსანთა შეჯიბრებების მონაწილე საქართველოს ნაკრებში ამ სკოლიდან მხოლოდ 7 სპორტსმენი გამოდიოდა, რომელთაგან ჩასათვლელი ქულები (3,5) გუნდს ორმა მოუპოვა.

სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს მწვრთნელთა შეთავსებით მუშაობა. მწვრთნელები ი. უშაკოვი, ვ. კოლესოვა, გ. ხიდაშელი, დ. მახარაშვილი, სპორტსკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის ორივე გამგე ძირითადი თანამშრომლები კი არ არიან, ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ.

დაბოლოს, სკოლა რესპუბლიკური მნიშვნელობისაა, მაგრამ თავის მუშაობას მხოლოდ თბილისით განსაზღვრავს, ტექნიკუმების მოსწავლეებს არ იზიდავს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ამას წინათ იმსჯელა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის ბავშვთა სპეციალიზებული სკოლის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების გზები დასახა. კომიტეტმა სკოლის დირექციას (დირექტორი დ. იოსელიანი) დაავალა გადამჭრელი ღონისძიება გაატაროს ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

## „სპორტლოტოს" ტირაჟი

კიევი, 10 იანვარი. აქ გათამაშდა „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი. მოგებები წილად ხვდა შემდეგ ნომრებსა და სპორტის სახეობებს: 10 (საბუერო სპორტი), 14 (ფრენბურთი), 11 (ველოსპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 37 (სროლა), 48 (ჭადრაკი).

# საპორო ოლიმპიადას ელის

საპორო, 11 იანვარი. (საკდესის კორ. ნ. გერონინი). ტოკიოდან საპოროში — XI „თეთრი ოლიმპიადის“ დედაქალაქში ჩასვლისთანავე შემოდგომიდან პირდაპირ ზამთრის სტუმრებად იგრძნობთ თავს. ტიტოესეს აეროდრომი ერთიანად თოვლის საბურველშია გახვეული. ცოტა ყინავს კიდეც. თერმომეტრი ნულს ქვემოთ 4 გრადუსს უჩვენებს.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მცხოვრებნი მსუბუქ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი. ზოგს მარტო კოსტიუმიც აცვია. გოგონები მოკლექვედიანი წინდებით დადიან.

„საკონტროლო პუნქტში“ 200 იენი გადავიხადეთ და საპოროსკენ მიმავალ ავტოსტრადას დავადექით. აქ, ისევე როგორც ყველგან იაპონიაში, ტრანსპორტი მარცხენა მხარეს მოძრაობს. გზა ჯერ პატარა ბორცვებზე გადის, მერე კი მთები იწყება.

ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინ, წინაოლიმპიური კვირეულის დროს, ეს გზატკეცილი არ იყო. მაშინ აეროპორტიდან საპორომდე მისვლას თითქმის ორი საათი სჭირდებოდა. ახალმა გზამ ეს დრო ორჯერ შეამცირა.

ოლიმპიური თამაშებისთვის თავად ქალაქის ფასადიც გალამაზდა. ყველგან ჩანს ლილისფერი ვიმპელები ოლიმპიური ფიფქებით, ტრანსპარანტები წარწერით: „საპორო-72“. კუნძულ ჰოკაიდოს ადმინისტრაციულ ცენტრში ოლიმპიადისთვის მზადება 6 წელიწადს გრძელდება. ბევრი რამ სწორედ ბოლო ხანებში გაკეთდა. გაყვანილია ახალი სატრანსპორტო არტერიები, მწყობრში ჩადგა მეტრო, აშენდა მრავალსართულიანი სასტუმროები. მიუხედავად ამისა, საპორო, სადაც მილიონამდე კაცი ცხოვრობს, უწინდებურად „ორსართულიან ქალაქად“ შეიძლება ჩაითვალოს, რაც იაპონიის ყველა ქალაქისთვის დამახასიათებელია.

როგორც ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში გვითხრეს, თამაშებში 35 ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას, ყველაზე ხალხმრავალი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების, გფრ-ისა და სსრ კავშირის დელეგაციები — 100-100 სპორტსმენის შემადგენლობით. სამაგიეროდ, არგენტინის გუნდში... 3 კაცია.

საპოროში ასპარეზობის სანახავად ათასობით უცხოელი ტურისტი ჩამოვა. ელიან უამრავ იაპონელ მაყურებელსაც. მაგრამ საპოროს რამდენი მცხოვრები ნახავს საინტერესო ოლიმპიურ ბატალიებს?

— მე ვაპირებ შეჯიბრებას ტელეეკრანზე ვუყურო, — ამბობს ტაქსის მძღოლი, სპორტული ალნაგობის ჭაბუკი ძიძირო კამადა, — კვირაში ერთ დღეს ვისვენებ. თანაც, ბილეთებიც საკმაოდ ძვირი ღირს.

ოლიმპიურ თამაშებს ძალიან ფართოდ გააშუქებს პრესა. ჟურნალისტებისთვის უკვე გახსნილია ვრცელი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი პრეს-ცენტრი.

— რამდენი უცხოელი კორესპონდენტი იქნება აკრედიტებული ოლიმპიადაზე? — ვკითხე პრეს-ცენტრის დირექტორს ხიროსი მაცუოს.

— საპოროში 1350-ზე მეტი უცხოელი ჟურნალისტი უნდა ჩამოვიდეს, — მომიგო მან. — ყოველ სპორტსმენზე დაახლოებით თითო საზღვარგარეთელი ჟურნალისტი და ორი იაპონელი რეპორტიორი მოდის. ახლა მთავარი სიტყვა იაპონელ სპორტსმენებს, რომელთაგანაც ბევრს ელიან.

* * *

საპოროში მთავრდება მზადება ზამთრის ოლიმპიადისთვის, რომელიც აზიაში პირველად უნდა ჩატარდეს. დეკემბრის შუა რიცხვებში გაიხსნა მეტროს 12-კილომეტრიანი ხაზი (სურათზე). მატარებლები „რეზინის გზაზე“ დადიან, რაც ხმაურს სპობს.

კიოდო-საკდესის ფოტო.





ზამთრის XI ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი იაპონური საფოსტო მარკა.

## ახალგაზრდების იმედი აქვთ

მას შემდეგ, რაც შეინ გოულდმა თავისუფალი სტილით ცურვაში მორიგი რეკორდი დაამყარა, ავსტრალიელთა მწვრთნელმა დონ ტალბოტმა ჟურნალისტებს უთხრა: „მიუნჰენში ჩვენ იმაზე მეტ მედალს მოვიპოვებთ, ვიდრე წინა ოლიმპიურ თამაშებში გვხვდა“. ეს სენსაციური განცხადება ნიშნავს, რომ ავსტრალიელები აპირებენ, სულ ცოტა, 14 მედალი დაისაკუთრონ. იუპი-ს სააგენტოს კორესპონდენტი ტალბოტის სხვა გეგმებსაც გვაცნობს. მწვრთნელს სექტემბერში ევროპიდან დაბრუნების შემდეგ შინ სულ 24-25 მედლის ჩატანა ჰქონია დაგეგმილი.

მთავარ იმედებს ავსტრალიელები ქალებს უკავშირებენ. „მწვანე კონტინენტის“ მოცურავეები ფრიად საიდუმლოდ ემზადებოდნენ. სპეციალისტები ამერიკელთა შედეგებს ადევნებდნენ თვალყურს, ამ დროს კი ავსტრალიის აუზებში კილომეტრები კილომეტრებზე იფარებოდა და მწვრთნელები საკონტროლო წამზომებზე არგაგონილ შედეგებს აღნუსხავდნენ.

მიუნხენის ოლიმპიადის მედლების მთავარ პრეტენდენტებად ტალბოტს მაინც ამერიკელები და გდრ-ის სპორტსმენები მიაჩნია. ავსტრალიელი მწვრთნელის აზრით, მათ შეუძლიათ ტაქტიკური აზროვნება, ეს კი კუნთების ძალაზე მნიშვნელოვანია.

„ოლიმპიურ თამაშებში სხვადასხვა ტაქტიკის ბრძოლა გაჩაღდება“ — განაცხადა ტალბოტმა. ეს აზრი მან იმით ახსნა, რომ ამჟამად უძლიერესი მოცურავეები ცალ-ცალკე ასპარეზობის დროს აღწევენ რეკორდებს, უშეტესად ერთმანეთს ვერც კი ხვდებიან.

ტალბოტი მთავარ იმედებს სულ ახალგაზრდებზე ამყარებს. შეინ გოულდი, მაგალითად, 15 წლისაა. საინტერესოა, რომ თვითონ ტალბოტი 16 წლისაც არ იყო, როცა ავსტრალიის ჩემპიონი გახდა.

ვ. ვლადიმიროვი.
(საკდესი).

## სად, ვინ, როდის?

# მეხუთე თამაშები

გარმიშ-პარტენკირხენის IV „თეთრი ოლიმპიადის“ დღეებში გამართულმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომამ განიხილა მორიგი ოლიმპიადის მასპინძლობის საკითხი. 1940 წლის „თეთრი თამაშების“ ორგანიზატორობის ყველაზე რეალური კანდიდატი საპორო გახლდათ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა 1940 წლის თამაშებიც ჩაშალა და 1944 წლისაც. მხოლოდ 1948 წელს, თორმეტწლიანი შესვენების შემდეგ, განახლდა ტურნირები ზამთრის სახეობებში უმაღლეს დონეზე.

V ოლიმპიადის მონაწილენი ისევ სენტ-მორიცს ეწვივნენ. II თამაშები აქ გაიმართა და შვეიცარიელებს შეჯიბრების მოწყობის საკმაო გამოცდილება ჰქონდათ.

ამ დროისთვის ოლიმპიურმა მოძრაობამ დიდ წარმატებებს მიაღწია.

თუ 1928 წელს აქ საასპარეზოდ 25 ქვეყნის 500 სპორტსმენს არც კი მოუყრია თავი, ამჯერად მედლებისთვის ბრძოლაში 28 ქვეყნის 878 სპორტსმენი ჩაება. მათ შორის 77 ქალი იყო.

30 იანვარს ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი საერთაშორისო ტურნირი. იგი 8 თებერვლამდე გაგრძელდა.

ომის შედეგები V ოლიმპიადის შედეგებშიც აისახა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში შვედებმა გაიმარჯვეს (70 ქულა), მათთვის უჩვეულო მაღალ ადგილზე (VII) გავიდნენ შვეიცარიელები.

შვედების წარმატება განსაკუთრებით სათხილამურო რბოლებში გამარჯვებამ განაპირობა. ვაჟთა ასპარეზობაში (ქალებისთვის სათხილამურო რბოლები ოლიმპიადის პროგრამაში ჯერ კიდევ არ იყო შეტანილი) სამივე პირველი ადგილი ამ ქვეყნის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს, ხოლო მეოთხე მედალს მოციგურავე ა. სეიფარტი 10000 მეტრზე ასპარეზობაში დაეუფლა. სულ შვედებმა ოლიმპიადაში 10 მედალი მოიხვეჭეს, ნორვეგიელებმა — 8. ავსტრიელებსაც 10 მედალი ხვდათ, მაგრამ საერთო გუნდურ ჩათვლაში ისინი ნორვეგიელებს მაინც ჩამორჩნენ, ვინაიდან სხვა საპრიზო ადგილების (IV-VI) მხრივ ამ უკანასკნელთ უკეთესი შედეგები აღმოაჩნდათ.

ჩეხოსლოვაკიელებმა ამ ოლიმპიადაში პირველად მოიპოვეს ოლიმპიური ვერცხლის მედლები ჰოკეისტთა ტურნირში (17 გუნდი მონაწილეობდა), თანაც კანადელებს ოქრო შაიბების უარესი შეფარდების გამო დაუთმეს (მათი მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0).

პირად ტურნირში ყველაზე დიდ წარმატებას ფრანგმა ა. ორეიემ მიაღწია, რომელმაც ვაჟთა შორის სწრაფდაშვება და სამთო ორჭიდი მოიგო. საფრანგეთის სამთომოთხილამურეთა სკოლამ მანამდე საქვეყნოდ აღიარებულ ავსტრიულ სკოლას აჯობა.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ტრამპლინიდან ხტომა და ორჭიდი. ამ სახეობებში მთავარი მეტოქეები ფინელები და ნორვეგიელები იყვნენ. საბოლოოდ ორჭიდში ფინელებმა იმარჯვეს, ტრამპლინიდან ხტომაში კი პირველობა ნორვეგიელებმა შეინარჩუნეს.

ამ თამაშებში საჩვენებელი საპატრულო შეჯიბრება შვეიცარიელებმა მოიგეს. ზამთრის ხუთჭიდში (სათხილამურო რბენა, სროლა, მთიდან დაშვება, ფარიკაობა და ცხენოსნობა) ყველას შვედმა გ. ლინდმა აჯობა.

გაგაცნობთ V ოლიმპიადის ლაურეატებს.

**სათხილამურო სპორტი.** რბოლა 18 კმ. მ. ლუნდსტრიომი (შვეცია). 50 კმ. ნ. კარლსონი (შვეცია). 4×10 კმ ესტაფეტა. შვეცია (მისტენსონი, ტეაპი, ერიქსონი, ლუნდსტრიომი). **ორჭიდი.** ჰ. ჰასუ (ფინეთი). **ტრამპლინიდან ხტომა.** პ. ჰუგსტედი (ნორვეგია). **სწრაფდაშვება. ვაჟები.** ა. ორეიე (საფრანგეთი). **ქალები.** ჰ. შლუნეგერი (შვეიცარია). **სპეციალური სლალომი. ვაჟები.** ე. რაინალტერი (შვეიცარია). **ქალები.** გ. ფრეზერი (აშშ). **სამთო ორჭიდი. ვაჟები.** ა. ორეიე. **ქალები.** ტ. ბეიზერი (ავსტრია).

**ფიგურული ციგურაობა.** ვაჟები. რ. ბატონი (აშშ). **ქალები.** ბ. სკოტი (კანადა). **წყვილთა.** მ. ლანიო და პ. ბონიე (ბელგია).

**ციგურებით სწრაფრბენა:** 500 მ. ფ. ჰელგესენი (ნორვეგია). 1500 მ. რ. ფარსტადი (ნორვეგია). 5000 მ. რ. ლიაკლევი (ნორვეგია). 10000 მ. ა. სეიფარტი (შვეცია).

**ბობსლეი.** ორადგილიანი. შვეიცარიის მეორე ნაკრები (ენდრიქსი, ველერი). ოთხადგილიანი. აშშ-ს მეორე ნაკრები (რიმკუსი, მარტინი, დ'ამიკო, ტეილორი).

**სკელეტონი.** ნ. ბიბია (იტალია).

**ჰოკეი.** 1. კანადა, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. შვეიცარია.



ა. ორეიე.



ბ. სკოტი.

**ოლიმპიური მედლები ასე განაწილდა**

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| შვეცია | 4 | 3 | 3 |
| ნორვეგია | 4 | 1 | 3 |
| ავსტრია | 3 | 3 | 4 |
| აშშ | 3 | 2 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 2 |
| კანადა | 2 | — | 1 |
| შვეიცარია | 1 | 4 | 2 |
| ფინეთი | 1 | 3 | 2 |
| ბელგია | 1 | 1 | — |
| უნგრეთი | — | 1 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | — | 1 | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | — | — | 1 |

## „დნეპრმა“ ტურნე დაამთავრა

ბონი, 10 იანვარი. 2 გამარჯვება, თითო ფრე და დამარცხება — ასეთი შედეგით დაამთავრეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელებმა თავიანთი ტურნე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე. პირველი მატჩი სტუმრებმა ბონში მოიგეს ანგარიშით 1:0, ხოლო შემდეგ ფრედ ითამაშეს ოსნაბრიუკში — 1:1. თავისი მესამე შეხვედრა ბილეფელდში „დნეპრმა“ წააგო გფრ-ის უმაღლესი ლიგის პროფესიულ გუნდ „არმინიასთან“ — 0:2. დაბოლოს, დნეპროპეტროვსკელებმა მიუნხენში მოუგეს „შტადვერკეს“ — 3:1.

# ფარიკაობა-72

„მუშკეტერებს“ ბრძოლის ველზე იწვევენ: ვორონეჟში სსრ კავშირის თასის გათამაშება ეწყობა. 15-19 იანვარს ჩატარდება მოფარიკავეთა შეჯიბრება, რომელიც მსოფლიოსა და ოლიმპიადის ტევრ ჩემპიონს მოუყრის თავს. მაგრამ წარსული დამსახურება ახალ წარმატებებს არ განაპირობებს ნაკრებში მოხვედრისთვის ბრძოლაა საჭირო. აი, რატომ ხდება, რომ სეზონის უმთავრესი — ოლიმპიური ტურნირის წინ მოფარიკავეებს შესარჩევ შეჯიბრებათა მთელ სერიას მოუწყობენ. პირველი სარბიელი სწორედ ვორონეჟი იქნება. მარტში საკავშირო შეჯიბრება გაიმართება ლვოვში, მაისში — სოხუმში. ბოლო შესარჩევი ტურნირი, ნაკრებისთვის ყველაზე მაღალი „გამსვლელი ქულებით“, ივლისისთვის დაგეგმილი ქვეყნის ჩემპიონატი უნდა იყოს.

ოლიმპიური განწყობილება უნდა გამოავლინონ მოფარიკავეებმა საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. ცალკე, უკვე გაზაფხულზე გაიმართება გუნდური ტურნირები ევროპის თასებზე. რაპირისტი ვაჟები გამოვლენ საფრანგეთში, ქალები — იტალიაში, დაშნით მებრძოლები — გფრ-ში, ესპადრონისტები — უნგრეთში.

აპრილში ყველა უძლიერეს მოფარიკავეს მინსკელები უმასპინძლებენ. ტრადიციისამებრ, აქ ჩატარდება ქალთა გუნდური შეჯიბრება „ბელორუსიის თასზე“ (21-26 აპრილს).

ფარიკაობა ერთ-ერთი უძველესი ოლიმპიური სახეობაა, რომელიც უკვე პირველი საზაფხულო თამაშების პროგრამაში იყო შეტანილი — 1896 წელს. ახლა ამ სახეობაში 24 მედალი თამაშდება — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოების 8-8 კომპლექტი. ასე რომ, მოფარიკავეთა წვლილი ოლიმპიური ნაკრები გუნდის წარმატებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. გვინდა ჩვენს მუშკეტერებს ვუსურვოთ მიუნხენის ოლიმპიადაში ბოლო წლების მსოფლიო ჩემპიონატების დონეზე გამოსვლა.

მათთვის, ვისაც 1976 და 1980 წლების ოლიმპიადებში მონაწილეობა აქვთ განზრახული, ახლა ბევრი საინტერესო შეჯიბრება ჩატარდება. მაგალითად, კიშინიოვში ოქტომბრისთვის დაგეგმილია იმ მოფარიკავეთა საკავშირო ტურნირი, რომელთაც ჯერ 17 წელი არ შესრულებიათ. როგორც წინა წლებში, საბჭოთა მოფარიკავეები ეუნიორთა ყოველწლიურ მსოფლიო ჩემპიონატშიც გამოვლენ. ეს შეჯიბრება ესპანეთში დაიწყება 30 მარტს.

ა. ერმაკოვი.

საქართველო — მოსკოვი — სპორტი

# ახალი ტალანტები

16 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდა ინგლისის I ლიგის კლუბ „დერბი ქაუნტიში“. ესაა ს. პოუელი, რომლის მამაც წარმატებით თამაშობდა ამავე გუნდში.

დიდ იმედებს ამყარებს გფრ-ის ცნობილი კლუბი „ბაიერნი“ (მიუნხენი) 19 წლის უ. ჰოენესზე. ამ პერსპექტიულ თავდამსხმელს უთვალთვალებს გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი ჰ. შოენი, რომელიც ჰოენესს მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის ფინალში თამაშის შესაძლებელ კანდიდატად მიიჩნევს.

# უცხოეთის ფეხბურთის ცაგზე

## ჩემპიონატები, თასები, სიახლენი

### იტალია

ჩემპიონატის XII ტურის ცენტრალური შეხვედრა მილანში მოეწყო ადგილობრივ „ინტერნაციონალესა“ და ლიდერს — ტურინის „იუვენტუსს“ შორის. იგი ფრედ დამთავრდა — 0:0, მაგრამ ათობით მაყურებელი „სან-სიროს“ სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში მოხვდა, ვინაიდან ტრიბუნებზე მომხდარი ჩხუბის შესაჩერებლად პოლიცია იძულებული გახდა ძალა ეხმარა. „ინტერნაციონალე“ ახლა მხოლოდ VII ადგილზეა. აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 12 | 23:11 | 20 |
| „მილანი“ | 12 | 18:7 | 18 |
| „ფიორენტინა“ | 12 | 14:10 | 16 |

### ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ ჰააგაში მოუგო ადგილობრივ „ფკ დენ ჰააგს“ — 2:1. გადამწყვეტი ბურთი მასპინძელთა კარში კრუიფმა გაიტანა. როტერდამის „ფეიენოორდმა“ ეინდჰოვენში წააგო ადგილობრივ გუნდთან — 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 19 | 43:10 | 35 |
| „ფეიენოორდი“ | 19 | 39:10 | 31 |
| „სპარტა“ (როტერდამი) | 19 | 41:20 | 27 |

### ინგლისი

XXIV ტურის სენსაცია ლიდერის დამარცხება იყო: ლონდონში ადგილობრივმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ (იგი XI ადგილზეა) „მშრალი“ ანგარიშით — 3:0 მოუგო „მანჩესტერ იუნაიტედს“. გოლები გაიტანეს რობსონმა, კ. ბესტმა და ჰერსტმა. ლონდონის „არსენალმა“ შინ ფრედ ითამაშა ლივერპულის „ევერტონთან“ — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 24 | 49:30 | 35 |
| „მანჩესტერ-სიტი“ | 24 | 47:24 | 33 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 24 | 36:15 | 33 |

### შოტლანდია

გლაზგოში შედგა ძველ მეტოქეთა — გლაზგოს „სელტიკისა“ და „გლაზგო რეინჯერსის“ შეხვედრა. მართალია, „რეინჯერსი“ წელს სუსტად თამაშობს, მაგრამ „სელტიკის“ წინააღმდეგ იგი მაქსიმუმს ავლენს და ამ გუნდების მატჩები ხშირად სისხლიანი დრამით თავდება ხოლმე. ამჯერად ასე არ მომხდარა, თუმცა მატჩი სპორტული დრამატიზმით აღინიშნა. 35-ე წუთზე „სელტიკის“ გარემარბმა ჯონსტონმა ანგარიში გახსნა, მაგრამ 83-ე წუთზე „გლაზგო რეინჯერსმა“ ანგარიში გაათანაბრა — 1:1. მატჩის უკანასკნელ წამებზე „სელტიკის“ ნახევარმცველმა ბროგანმა მაინც მოახერხა გოლის გატანა — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 19 | 64:16 | 35 |
| „აბერდინი“ | 19 | 58:13 | 33 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 19 | 43:21 | 26 |

### პორტუგალია

ამ ქვეყნის 2 უძლიერესი გუნდის — „ბენფიკასა“ და ლისაბონის „სპორტინგის“ ანტაგონიზმი საყოველთაოდ ცნობილია. სეზონის დასაწყისში „სპორტინგის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ „ბენფიკას“ ბატონობის აღსასრული დადგა, ვინაიდან „სპორტინგი“ წლეულს უძლეველი გუნდი იქნებაო. მაგრამ „ბენფიკა“ ახლაც საუკეთესო გუნდია (იგი წაუგებლად თამაშობს) და XIV ტურში „ბენფიკამ“ დიდი უპირატესობით მოუგო „სპორტინგს“ — 3:0 და თითქმის გაინაღდა ჩემპიონობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 14 | 43:8 | 26 |
| „ვიტორია“ (სეტუბალი) | 14 | 29:9 | 22 |
| „სპორტინგი“ | 14 | 29:13 | 20 |

# ბრაზილიის ჩემპიონატი

ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული ფეხბურთში მოიპოვა მინას ჟერაისის შტატის გუნდმა „ატლეტიკო მინეირომ“. ფინალურ ტურნირში მან ერთნაირი ანგარიშით — 1:0 დაამარცხა პოპულარული კლუბები „სან პაულუ“ და „ბოტაფოგო“. ვიცე-ჩემპიონის გამოსავლენად დანიშნული მატჩი „სან პაულუსა“ და „ბოტაფოგოს“ შორის მოიგო პირველმა — 4:1.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაზეთმა „ესტადო დე სან-პაულუმ“ მოაწყო გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბრაზილიის 65-მა სპორტულმა ჟურნალისტმა. მათ დაასახელეს ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ: სერჟიო, უმბერტო, პერფუმო, ჟანტუირი, ოლდაირი, ჟერსონი, ლოპესი, რიველინო, ჟაირზინიო, დარიო და ედუ. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ხმა მიიღეს რიველინომ (55), ჟაირზინიომ და ჟანტუირმა (50-50).

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ტექნიკურმა კომისიამ შეარჩია 22 ფეხბურთელი, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მსოფლიოს მცირე ჩემპიონატის გათამაშებაში (ტურნირი, როგორც ცნობილია, დაიწყება 1972 წლის 12 ივნისს და 9 ივლისამდე გასტანს). აი, ვინ მოხვდა ნაკრების კანდიდატთა სიაში: მეკარეები — სერჟიო, ფელიქსი, მცველები — კარლოს ალბერტო, ზე მარია, ბალდოში, ლუის კარლოსი, ჟანტუირი, მარინიო, ევერალდო, მარკოს ანტონიო, ნახევარმცველები — კლოდოალდო, ჟერსონი, რიველინო, პიაცა, ლოპესი, თავდამსხმელები — ჟაირზინიო, ზეკინია, ვაგინიო, დარიო, მირანდინია, ტოსტაო, ედუ.

# ჩვენი მოძმე რესპუბლიკები



ტალინის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის სარბოლო მანქანები კარგადაა ცნობილი სსრ კავშირის სპორტსმენებისთვის. საწარმოში შეიქმნა სარბოლო მანქანა „ესტონია-16 მ“, რომელსაც „მოსკვიჩი-412-ის“ ძრავა აქვს.

ს უ რ ა თ ზ ე: „ესტონია-16 მ“-ის ასაწყობ საამქროში.

ილინეცის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მოსწავლეები გატაცებით მეცადინეობენ სხვადასხვა სპორტულ სექციაში.

ს უ რ ა თ ზ ე: მოთხილამურეთა საწვრთნელი მეცადინეობა. წინა პლანზე — კომკავშირელი ე. კუშნირი.

ე. კოპიტის ფოტო.



საქართველო — მოლაპარაკობს

# მოკლედ

● **ვენა.** უეფა-ს თასის მერვედფინალურ მატჩს ვენის „რაპიდსა“ და ტურინის „იუვენტუსს“ შორის აქ დაესწრო სულ 653 მაყურებელი, ამასთან, როგორც გამოირკვა, ამათგან მხოლოდ 283-მა კაცმა აიღო თამაშზე დასასწრები ბილეთი.

● **ბერნი.** უეფა-ს პრეზიდენტი გ. ვიდერკერი (შვეიცარია) დანიშნულია ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტად ამას წინათ გარდაცვლილ დოქტორ თ. ბარასის (იტალია) ნაცვლად.

● **ოსლო.** ნორვეგიის № 1 ფეხბურთელად აღიარებულია ამ ქვეყნის ჩემპიონ „როზენბორგის“ კაპიტანი ო. კრისტიანსენი.

● **რიო დე-ჟანეირო.** როგორც ბრაზილიელი მიმომხილველები იუწყებიან, ამას წინათ დამთავრებულ ბრაზილიის ჩემპიონატში გადამწყვეტი მატჩი ადგილობრივ „ბოტაფოგოსა“ და „ატლეტიკო მინეიროს“ შორის ისეთი დაძაბულობით ხასიათდებოდა, რომ თვით შეუდარებელ ჯენტლმენად აღიარებული ნილტონ სანტოსი („ბოტაფოგოს“ მწვრთნელი) მოედანზე შეიჭრა და მსაჯი სასტიკად გალანძღა.

● **კოპენჰაგენი.** დანიის № 1 ფეხბურთელად აღიარებულია კოპენჰაგენის „ჰვიდოვრეს“ და ეროვნული ნაკრების კაპიტანი ბ. პედერსენი. მას ნაკრებში 11 მატჩი აქვს ჩატარებული.

● **ციურიხი.** ფიფა-ს დავალებით იანვრის პირველ ნახევარში ლიმაში გაიმართება სემინარი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ნაკრები გუნდების მწვრთნელთათვის. მათ ლექციებს წაუკითხავენ ცნობილი სპეციალისტები, მათ რიცხვში ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უ. უინტერბოტომი და ბრაზილიელი ტ. პერეირა.

# „სან-ფელიპე“ — პირველი

ჩილის ისტორიაში პირველად ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა ბოლო სეზონამდე უმნიშვნელო კლუბმა „სან-ფელიპემ“. მან მოაგროვა 46 ქულა, „უნივერსიდადმა“ — 42, „კოლო-კოლომ“ — 41.

სან-ფელიპე პატარა ქალაქია სანტ-იაგოს ჩრდილოეთით. სულ მოკლე ხნის მანძილზე ყველასთვის მოულოდნელად ადგილობრივი კლუბის მესვეურებმა პირველხარისხოვანი კოლექტივი შექმნეს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02513